

(2006)

**ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა. რეზოლუცია 1497 (2006) აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ**

1. საპარლამენტო ასამბლეა იმოწმებს თავის 1570 (2002) რეზოლუციას “აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ” და მიიჩნევს, რომ საჭიროა, განახლდეს ამ საკითხის განხილვა, რადგან მიუხედავად პროგრესის ცალკეული იზოლირებული მაგალითისა, იგი წინანდებურად წარმოადგენს სერიოზულ წინააღმდეგობას რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების გზაზე და ჯანდაცვის სფეროში.

2. ადვილი არ არის, შეაფასო ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა რეგიონში. ეს სამი ქვეყანა ხელმძღვანელობს კანონის ნორმებით ან ადმინისტრაციული პრაქტიკული მოსაზრებებით და რეგიონის ფარგლებში სხვადასხვა სახით გადაადგილებულ პირთა შთამომავლებს “ლტოლვილთა” და “იძულებით გადაადგილებულ პირთა” კატეგორიას მიაკუთვნებენ, რის შედეგადაც, როგორც წარმოსადგენია, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა რაოდენობა არასოდეს მცირდება. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისა და სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან ურთიერთდებორტაციის გამო ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფება. ბევრი სხვა გადაადგილდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად, აღარაფერს ვამბობთ ჩეჩნეთის კონფლიქტების გამო სამხრეთ კავკასიაში გაქცეულ ჩეჩნებზე.

3. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ჯიდევ არსებობს გადადუღებელი დიდი ჰუმანიტარული საჭიროებანი. ეს ავალდებულებს ამ სამ ქვეყანას, მაქსიმალურად სრულად ამოქმედონ დახმარების საკუთარი შესაძლებლობები იმ პერიოდში, როცა საერთაშორისო საზოგადოების შემოწირულობები შემცირდება.

4. ასამბლეა აღნიშნავს, რომ მითითებული პირებიდან ზოგიერთმა შეძლო დაბრუნებულიყო საქართველოს აღიარებული საზღვრების ფარგლებში. ასამბლეა მაღალ შეფასებას აძლევს საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, შეიმუშაოს ამ ქვეყნის სამინაო კონფლიქტების გადაწყვეტილება და აცხადებს, რომ მხარს უჭერს ამ პროცესს. მიუხედავად ამისა, წინანდებრად შემამფოთებელია უსაფრთხოების საკითხები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში და ჯერ კიდევ ბევრი რამეა გასაკეთებელი ნდობის განმტკიცებისა და მოსახლეობის ფართომასშტაბიანი ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის პირობების შესაქმნელად.

5. ამასთანავე, ასამბლეას თავის მოვალეობად მიაჩნია, განაცხადოს, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის გადასაწყვეტად აზერბაიჯანისა და სომხეთის მიერ გაწეულ ძალისხმევას დღემდე შედეგი არ მოჰყოლია. ასამბლეა გამოთქვამს მწუხარებას იმის გამო, რომ ხშირია ინციდენტები ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ და სასაზღვრო ინციდენტები, რაც დამლუპველად აისახება დევნილების, გადაადგილებული პირებისა და ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობაზე და სინანულით აღნიშნავს, რომ არასაკმარისია ამ ორი ქვეყნის თანამშრომლობა უგზო-უკვლოდ დაკარგული ადამიანების ბედის დასადგენად.

6. ასამბლეა ყურადღებას მიაქცევდა იმას, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის შემდეგ დარჩენილია დიდი რაოდენობის მიწისზედა ნაღმები, რომლებიც კვლავ ხდება ადამიანების დაჭრისა და ზოგჯერ სიკვდილის მიზეზი.

7. კონფლიქტების გადაჭრისას ერთ-ერთ მთავარ მიზნად რჩება, შეიქმნას პირობები საიმისოდ, რომ ლტოლვილები და გადაადგილებული პირები ნებაყოფლობით დაბრუნდნენ იმ რაიონებში, საიდანაც ჩამოვიდნენ.

8. ასამბლეა მიესალმება იმ ფაქტს, რომ აზერბაიჯანმა, სომხეთმა და უფრო ნაკლებად საქართველომ, ახლახანს დაიწყეს თავიანთ ტერიტორიაზე მყოფი ლტოლვილების და გადაადგილებული პირების ადგილობრივ თემებთან ინტეგრაციის პროგრამების განხორციელება. ამ პროგრამებს ორმაგი უპირატესობა აქვს: ისინი აძლევენ ადამიანებს შესაძლებლობას, აღიდგინონ

საკუთარი ღირსების გრძნობა ღირსეულ პირობებში ცხოვრებისა და სამუშაოს წყალობით, რომელიც მათ საშუალება აძლევს, შეიტანონ წვლილი იმ რაიონების განვითარებაში, რომელმაც შეიფარა და ამზადებენ ნებაყოფლობითი დაბრუნებისთვის უკეთეს პირობებში სოციალური, ფიზიკური ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის კუთხით.

9. ამასთან ერთად ამ პროგრამის წარმატებით განხორციელებას კვლავ აბრკოლებს ბევრი ფაქტორი:

სიღარიბე საყოველთაო მოვლენაა, განსაკუთრებით, სოფლად, და შემაშფოთებელია შიმშილობის დონე; კვლავ მაღალია უმუშევრობის დონეც. პრობლემატურია წარმოებების საშუალებებამდე და ქონებამდე მიღწევაც.

ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით, გადაადგილებულ პირთა თავმოყრისა და მასობრივი განთავსების ადგილებში – რომელიც ხშირად ისედაც საშინელ მდგომარეობაშია – კიდევ ერთი დაბრკოლებაა განვითარების გზაზე. სასკოლო შენობებში ისევ ლტოლვილები და გადაადგილებული პირები არიან შესახლებული მაშინ, როდესაც ბავშვებისთვის სასწავლებლად უნდა იყენებდნენ, სამედიცინო მომსახურება კი კვლავ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. ამ პირობებში წარმოუდგენელია ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა და ლტოლვილებსა და გადაადგილებულ პირებზე ზრუნვა საერთაშორისო დახმარების გარეშე.

10. ამიტომ საჭიროა, რომ გაგრძელდეს საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერა, რომელსაც უნდა დაემატოს და თანდათანობით ჩაენაცვლოს საერთაშორისო დახმარება განვითარების მიზნით, მაგრამ არა მხოლოდ ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა გადაუდებელ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მთელი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

11. ამასთან დაკავშირებით ევროპის საბჭო მოუწოდებს ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებს:

11.1. აღმოუჩინოს ფინანსური დახმარება აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს ლტოლვილების, მათ შორის თვით მოქალაქეობამიღებულების, პრობლემების გადაჭრის საქმეში, შენობების აღდგენისა და გზების მშენებლობის, წყლისა და ელექტრომომარაგების, საავადმყოფოებისა და სკოლების მშენებლობაში საიმისოდ, რათა პირთა ამ ჯგუფებს მიეცეთ ადგილობრივ თემებთან უფრო ეფექტიანი ინტეგრირების შესაძლებლობა. და ამასთან, ხელი შეუწყონ თავიანთი საცხოვრებელი რაიონების განვითარებას – არ უნდა დაგვავიწყდეს ადგილობრივი მოსახლეობა, რომელიც ასევე ხშირად ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ – და ამასთან უნდა უზრუნველყოთ ფინანსური რესურსების გამოყოფა ადამიანის უფლებების დაცვის ღონისძიებების მხარდასაჭერად და ამ სამი სახელმწიფოს ძალისხმევის კოორდინაციისათვის.ნბსპ;

11.2. გაგრძელდეს საგანგებო ჰუმანიტარული დახმარება იქ, სადაც ეს საჭიროა, ამასთან შეიმუშაონ საშუალო და გრძელვადიანი გადაწყვეტილებები გადაადგილებულ პირთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, თვითუზრუნველყოფისა და ინტეგრაციისათვის;

11.3. შესთავაზონ თავიანთი კეთილი სამსახური იმისათვის, რომ შეეცადონ შეიმუშაონ მუდამივი დაწყვეტა კონფლიქტებისა, რომლებიც კვლავ ბოზოქრობენ და მთელი რეგიონის განვითარებას უშლიან ხელს;

12. ასამბლეა ასევე მოუწოდებს აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს:

12.1. ყურადღება გაამახვილონ რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების უზრუნველყოფას იმ მიზნით, რომ შექმნან პირობები მშობლიურ ადგილებში ლტოლვილთა და გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი, ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებისთვის;

12.2. აქტიურად გააგრძელონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადგილობრივ თემებში ინტეგრაციის პოლიტიკა, მაგრამ არა ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ყოველთვის მათთან კონსულტაციით, და ამასთან შეგნებით იმისა, რომ ეს ქვეყნები გარანტიით უზრუნველყოფენ მათ ნებაყოფლობით დაბრუნებას, როგორც კი სამისო პირობები შეიქმნება, რაც საქართველოს მიმართ გულისხმობს მკაფიო წესის დამყარებას და განმტკიცებას და ლტოლვილთა და ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ პირთა ადგილებზე ინტეგრაციის სხვა ზომების მიღებას;

12.3. თავი შეიკავონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა პოლიტიკური მიზნით გამოყენებისაგან;

12.4. უპირატესი ყურადღება მიაქციონ გადაადგილებული პირების დაბრუნებას და მოლაპარაკებების დროს გააკეთონ ყველაფერი შესაძლებელი იმისათვის, რომ ამ ადამიანებს მიეცეთ საშუალება, უსაფრთხოდ დაბრუნდნენ სამშობლოში საერთო მოწესრიგების მიღწევამდე კი;

12.5. უკეთ მოახდინონ თავიანთი ძალისხმევის კოორდინირება საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედებებთან ადგილებზე საერთაშორისო პოლიტიკისა და განვითარების გეგმების შესაბამისად;

12.6. მოიყვანონ თავიანთი კანონმდებლობა შესაბამისობაში ლტოლვილთა შესახებ ჰააგის კონვენციასთან და გაეროს კონვენციასთან მოქალაქეობის არქონის შემცირების თაობაზე და სრულად განახორციელონ მათი დებულებები;

12.7. გაგრძელდეს საერთაშორისო დახმარების აღმოჩენის პოლიტიკა იმ სექტორებში, სადაც არის დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები;

12.8. ოპერატიულად დასრულდეს ევროპის საბჭოს განვითარების ბანკთან ბანკის წევრად გახდომასთან დაკავშირებით ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებები.

12.9. შეათანხმონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირების დახმარების თავიანთი პოლიტიკა და განვითარების პოლიტიკა იმისათვის, რომ ერთად ამოქმედდეს პრაქტიკული, ფინანსური და სხვა საშუალებები, რომლის მათთვის შეთავაზებაც შეეძლო ევროპის კავშირს თავისი “ახალი სამეზობლო პოლიტიკის” ფარგლებში;

12.10. გაააქტიურონ რეგიონთაშორისი დიალოგი ნდობის განმტკიცების ღონისძიებების მიღებითა და რეგულარული კონსულტაციების ორგანიზებით ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტისათვის პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებს შორის დიალოგის გზით;

12.11. გააგრძელონ კანონმდებლობის გადახედვა იმისათვის, რომ ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის გარანტირებული იყოს ისეთივე პოლიტიკური, სამოქალაქო, ეკონომიკური და სხვა უფლებები, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას აქვს, მათი სტატუსისათვის ზიანის მიუყენებლად;

12.13. ურთიერთკონსულტაციისა და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძოდ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილთა უმაღლეს კომისართან და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან კონსულტაციებით, მომზადებულ იქნეს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების პირობები, წინასწარ დადგინდეს, რა სჭირდებათ ადგილზე, და შეეცადონ ობიექტურად დაადგინონ ფაქტობრივი რაოდენობა ადამიანებისა, რომლებსაც შეუძლიათ და სურთ პირველ ეტაპზე დაბრუნება;

12.14. გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების საფუძველზე კონფლიქტის მშვიდობიანი და საბოლოო გადაჭრისათვის, საჭიროების შემთხვევაში, სხვა ქვეყნების, მათ შორის, რეგიონის ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების სამსახურის მოზიდვით;

12.15. განავითარონ პრაქტიკული თანამშრომლობა უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ბედის გამოძიების სფეროში, ხელი შეუწყონ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების დაბრუნებას და ქონების რესტიტუციას, კერძოდ, ბალკანეთის ანალოგიური პრობლემების გადაჭრის გამოცდილების გამოყენებით;

13. ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს, ცნოს ლტოლვილად აღიარებული პირების, მათ შორის, ჩეჩენი ლტოლვილების უფრო ხანგრძლივი სტატუსი იმისათვის, რომ მათ შეიძინონ მომავლის დიდი რწმენა და გაუადვილდეთ ინტეგრაცია ადგილებზე.

14. ასამბლეა მოუწოდებს აზერბაიჯანს, მიიღოს კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს სუბსიდიალურ დაცვას ომს გადარჩენილი პირებისა და იმ პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ საერთაშორისო დაცვას, მაგრამ ვერ აღწევენ თავშესაფრის მიღების პროცედურამდე.

15. ასამბლეა მიესალმება სომხეთის მიერ ლტოლვილების შესახებ 1999 წლის კანონის მთლიან შესრულებას, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით დაცვას და მიესალმება მის საკანონმდებლო

გეგმებს, გაფართოვდეს “ლტოლვილის” იურიდიული განსაზღვრება ამ კატეგორიაში ყველა იმ პირის ჩართვით, რომლებიც საერთაშორისო დახმარებას საჭიროებენ.

2006 წლის 13 აპრილი.

([www.coe.int](http://www.coe.int))